ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4954834

ნომერი: AR1741379

თარიღი : 14.05.2020

გაცემის თარიღი : 19.05.2020

გაცნობის თარიღი : 19.05.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ლაგოდეხის , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეონა წოწოლაშვილი პ/ნ 35001015802
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 29/7 ბ. 29

ორგანიზაცია:
- შპს "ოპოცენტრი" კოდი: 405056460

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - დამხმარე - ტექნიკური ნაგებობები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 14 მაისის AR1741379 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლაგოდეხის შეს. N6-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით (დამხმარე ტექნიკური ნაგებობა) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, სზ-5-ში განაშენიანების რეგულირების მინიმალური პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომებია: მინიმალური ფართობი 400*/500 კვ.მ, მინიმალური სიგანე 12*/15 მეტრი, მინიმალური სიღრმე 20*/25; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ** მეტრი, შენიშვნა * ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის ** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად. საპროექტო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.17.01.095.010 (ფართობი 109 კვ.მ.) არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პარამეტრებს; ასევე საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)დამხმარე ტექნიკური ნაგებოების განთავსება საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა პირველ ეტაპზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში დააყენოთ მოთხოვნა ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებისა და სპეციალური (ზონალურ) შეთანხმებაზე და განცხადება შესაბამისი ნომენკლატურით ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge . ასევე გაითვალისწინეთ, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით გადამეტებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები სხვადასხვა და შორი ხედიდან;
2.საჭიროების შემთხვევაში საპროექო ობიექტის ესკიზური ვარიანტი -> ....ესკიზური ვარიანტის pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი ესკიზი მასალის, ზომებისა და ნიშნულების მითითებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 60 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.